

4
1966.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1966

თბილისი, პატი

№ 9 (1235)


გაზეთი

გამოცემის 43-ე წელი. ღირსი 20 კპ.

კაცის რელიგია, მისი პიროვნება!

გ. პატიშვილი

კონსტანტინე გამსახურდია



მგელმა ცხვარი მოიტაცა ფარიდან და ტყეს შეაფარა თავი. უცებ შემოესმა დაჟი-
ნებული რაკუნი. შეკრთა. აგრე ეგონა: მონადირე აჩხაკუნებსო თავისი თოფის ჩახ-
მასს. საკბილოს მოეშვა და უშველებელი ფიტვის ძირში გაინაბა.

ისევ შემოესმა რაკუნი. ზე აიხედა: თურმე კოდალა ფიტვზე შესკუპულიყო და არა-
კუნებდა.

— შენ დაგექცეს ოჯახი! — შესძახა მგელმა კოდალას. — მთელი შენი სიცოცხლე
არაკუნებ და აკაკუნებ მაგ შენს ოხერ ჩაქუჩს, მაგრამ ოსტატი მაინც ვერ გამხდარხარ!

— მე კი არა, შენ დაგექცეს ოჯახი! — მიუგო განაწყენებულმა კოდალამ, — მთელი
შენი სიცოცხლის მანძილზე ცხვარს იპარავ, მაგრამ საკუთარი ფარა მაინც ვერ გაიჩინე!


მინაწერი: ეს იგავი ეხება უნიჭო მოქანდაკეებს, რომელნიც დღენიადაგ არაკუნე-
ბენ თავიანთ ჩაქუჩებს, მაგრამ არაფერი გამოუდით ხელიდან.

კიდევ ერთ ვინმეს ეხება იგი: პლაგიატორს, რომელიც მუდამ იპარავს სხვა ავტო-
რების წიგნებიდან, მაგრამ დამოუკიდებელი მწერალი ვერ გამხდარა.

კონსტანტინე გამსახურდია თავისი შემოქმედებითი მუშაობის ანტრაქ-
ტებში წერს წიგნს — „ასი იგავი“. ამ იგავთა ფაბულა, მეტწილად, მას
ეკუთვნის, ნაწილიც ნასესხებია მსოფლიოს ხალხების ფოლკლორიდან.

რედაქცია

ნ.ბ. გ. ფირცხალაშვილი



საქმის ფეხავილი ნაკალი ნაენკი

მე პანკისელი კაცი ვარ და ვცხოვრობ სოფლის თავშია,
ერთხელ ჩამოსვლა დამჭირდა საქმეზე ახმეტაში.

მალე გამოჩნდა მანქანა — მარშრუტი პანკისისაო,
ხელი ავწიე, გაჩერდა, დრო დადგა ჩემი ცდისაო.

მინდა, როგორმე ავიდე, შემოკლება მსურს გზისაო,
ვაწვები, ვილაც მაწვება: აქ არ დამტოვო, ძმისაო!

შიგნიდან ვილაც იძახის, ჭალარა, ჩემი ხნისაო:
ამდენი ხალხი ავტობუსს გააგდებინებს ძირსაო!

ბოლოს მივედი, შოფერმა შესძახა: ესეც ახმეტა!
ბილეთი არც ერთს არ მოგვცა, ფული? იცოცხლე, ახმეტა!

ჩამოვბტი, დაბეჭილი მაქვს ძვალი და რბილი სხეულის,
დავიხედე და... ვა, ჩემს თავს: ჩოხა მაქვს შემოხეული...

მე საქმეს მოვრჩი ხელდახელ, (ვის გავაკვირებ ამითა!),
მაგრამ, შინ მობრუნებისას, მიმტყუნა კარგმა ამინდმა.

წვიმს. მერე იცით, როგორ წვიმს? დასაწყისია წარღვნისა!
მაგრამ რას ვიზამ, დრო დადგა ჩემი პანკისში წასვლისა.

მოლარეს ვთხოვე ბილეთი, მომცა, არ უთქვამს უარი;
„დავჭდები?“ „აბა, რას იზამ, თავისუფალი თუ არი!“

არც იყო სადმე ასფალტი, არც ბიბინებდა ბალახი,
წვიმდა, ვიდექით მგზავრები ცის ქვეშ, მუხლამდე ტალახში.

მერე შეიქმნა ჩოჩქოლი, ჭიდილი გასაკვირველი,
მოდგა პანკისის მანქანა. აბა, ვინ ავა პირველი?!

და როცა ასვლა მელირსა, ვიგრძენ ტკივილი ფეხისა,
სკამს მაინც ვერსად მივასწარ, აი, დაცინვა ბედისა!

გზაზე ვფიქრობდი: „ახ, ნეტავ, სულ არ მენახა ახმეტა!“

კავშირის შიკიბაური

— შეხედე, როგორ ფეხლოვს ჩვენი მასწავლებელი!
— ერთი ფული უკლია პანკისში გასვლას და, აბა, რა

ქნას!

ქაქალაქი, ქაქალაქი, ქაქალაქი!!

მე დავესწარი ქვისსამსხვრევის დაბადებას. ეს იყო რუსი, ჟანგ-მოკიდებული, ცილინდრისებური ქვაბი, რომელიც შაქარივით კვებდა ქვეს, ამსხვრევდა და ფეხავდა. ქარხნის მთელი შტატი დაეწრო მის ამუშავებას.

— რას იტყვი? — მკითხა სახეგაბადრულმა დირექტორმა.
— უბრალო, პრიმიტიული მანქანაა, — ვთქვი მე, — მშენებლობებზე, ყოველი ფუზის ნაბიჯზე, ყრია ასეთები!
— ყრიაო... — შეიშალა დირექტორი. — მე შენ გაჩვენებ, როგორი ყრია!

კაბინეტისკენ გამაქანა და ხენეშით დააძრო კარადიდან გულ-მოღვინედ დატენილი ორი საქალაღდე.

თვალწინ წარმომიდგა წერილების წარმოების რთული ტექნოლოგია, როგორ დაიბადა პირველი წერილი, მერე — მისი საპასუხო და, შემდეგ, როგორ მოხდა მათი გამრავლება გეომეტრიული პროგრესიით. მესამე, როგორ კაკანებზე საბეჭდო მანქანები, გრძელ დერეფნებში დაპქრიან შიკრიკები, მოწყენილი ადამიანები მანქანის შესახებ ჰქმნიან ისტორიას, ფურცლავენ საქმეებს, იხვეწიან, ილანძლებიან, იმუჭრებიან. ვხედავ წერილების ავტორთა მთელ არმიას — ათეულებს, ასეულებს, რომლებიც, ქაღალდი რომ არ ყოფილიყო, ასე მიმართავდნენ ერთმანეთს:

„სამშენებლო კანტორას! მაღერ რომ გიგდიათ ქვისსამსხვრევი, ქათმების სკორეთი მოთეთრებული, მომეცი, კაპრემონტზე მჭირდება, უფულოდ კი არ მიწდა!“

„მმპანიპურ ქარხანას! მოიხმარ, რომ მოგცე? მაგას ცოდნა უნდა, ბაბა! მითხრას შენმა ტრესტმა და მოგცემ!“

„მმპანიპური ტრესტს! კაპრემონტს რომ ვაკეთებ, ხომ იცი? ქვისსამსხვრევი მჭირდება. აგერ უდღია სამშენებლო კანტორას, მომეცი-თქო, ვუთხარი და ტრესტმა მთხოვოსო. თხოვეთ, თვარა ჩაგშლი მუშაობას და უყარეთ მერე კაკალი!“

„მმპანიპურ ქარხანას! ჩაშლი მუშაობას და დაგშლით! გაიგე, ახლა? კანტორა შეგვიტოს თავის ტრესტს: თანახმა იქნება, თუ არა! სამშენებლო კანტორა ვისი ტიკიტომარაა?“

„სამშენებლო კანტორას! ვკითხე ტრესტს და მითხრა, მაგანაც კითხოს თავის ტრესტსო. კითხე, შე კაცო, თავში კი არ ჩაგარტყამს!“

„სამშენებლო ტრესტს! აქ რომ გვიგდია ჯირკვით ქვისსამსხვრევი, რომ არ დააღა საშველი მის ჩამოწერას, მუშტარი მყავს, ახლა ტრესტი ეუბნება ჩემზე, კითხოს თავის ტრესტსო, მა, რას იტყვი?“

„სამშენებლო კანტორას! შენ, ბიჭო, რატომ იტყვივებ აუტკივარ თავს? თუ ჭირდებათ მაგ გლახის ჭირებს, თვითონ მოგვაკითხონ. არ ეკადრებათ თუ?“

„მმპანიპურ ქარხანას! ვკითხე, ძმაო, ტრესტს და შენ ვინ გითხავსო. მიაკითხე თქვენს ტრესტს, მიაკითხოს ჩვენს ტრესტს!“

„მმპანიპური ქარხანების ტრესტს! ვუთხარი სამშენებლო კანტორას, შეგითხი თავის ტრესტს, ტრესტმა უთხრა, თვითონ მითხრას მაგათ ტრესტმაო!“

„სამშენებლო ტრესტს! ჩვენს ქარხანას ჭირდება ქვისსამსხვრევი, თქვენს სამშენებლო კანტორას ტყვილა უდღია ქვისსამსხვრევი, მოგვეცი, თქვე კაი ხალხო, ფული ფულად მიიღეთ და მაღლობა — მაღლობად!“

„მმპანიპური ქარხანების ტრესტს! შეგვეკითხები ჩვენს სამმართველოს!“

„სამშენებლო სამმართველოს! მექანიკური ქარხნების ტრესტმა გვთხოვა: ჩვენს ქარხანას ჭირდება ქვისსამსხვრევი, სამშენებლო კანტორას ტყვილა უდღიაო; მივცეთ?“

„სამშენებლო ტრესტს! დამალაპარაკეთ მაგათ სამმართველოს!“

„მმპანიპური ქარხანების ტრესტს! თქვენი სამმართველო დაელაპარაკოს ჩვენს სამმართველოს!“

* * *


- ალლო, ალლო!..
- არა, ძმაო, არ შემიძლია!
- ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ასეთი?
- ვკითხეთ საგვემო კომისიას!
- ღმერთს არ ვკითხეთ?

...და, წლისთავზე, დაიბადა ქვისსამსხვრევი. დაიბადა იგი სნეული, სულთმობრძევი, მაგრამ ახალშობილმა იძალა და გამოზრუნდა...

ხმამოუღებელი ჩავედით ეზოში. შევცქეროდით ჩაქანებულ ქვისსამსხვრეებს. იგი გრუხუნებდა, გლეჯდა ქვეს, ბრდღვინავდა, როგორც მხეცი, რომელმაც, ეს-ესაა, თავი დააღწია ტყვეობას.

პ. მუსურაძე

ნ. ბ. ლომიძისა



ზოგიერთი ადამი სხლის მშენებლობის ამჟამად.

კატეგორია

სიონის ეკლესიაში, კვირა დღით, შევიდა ზუთი მლოცველი, ოთხმოცი კი გარეთ დარჩა.
ვის ელოდებოდნენ კარებთან თავმოყრილი მლოცველები, მამავეციერს თუ ივანე ნათლისმცემელს?
პასუხი: სპეკულანტებს.

მელენტის პროფესორმა მოაქრა ნახევარი კუჭი, თორმეტგოჯა ნაწლავი და ორი ჭიბე.
რა მოუვიდა მელენტის?
პასუხი: ოპერაციას გადაურჩა, მაგრამ ჭიბის ჭავრს გადაჰყვა.

მანანას სკოლის მასწავლებელმა დაბადების დღეზე საჩუქრად მიიღო ახალი საკაბე, დღეობაზე — კოსტუმი, სემესტრის დამთავრებისას — ბეწვის ქურჭი.
თვითონ მანანამ რა მიიღო?
პასუხი: ოქროს მედალი.

3. კახელიშვილი

ახ. პ. ა. ნაგაველი "საქართველოს სახელმწიფო მართვის საკითხები"

წინადადება № 1

ცნობილია, რომ: ა) მცხეთაში გაკეთებული წუმწუმა არ იმთავსებს მცხეთაში გაკეთებულ ასანთის კოლოფზე, მაგრამ მცხეთაში გაკეთებული ასანთის კოლოფი ყველა სხვა რესპუბლიკაში გაკეთებულ წუმწუმას ანთებს. მაშ, რა ვქნათ?

რა ვქნათ, და: ბ) მცხეთაში გაკეთებული ასანთის კოლოფები მიეყიდოთ რომელიმე სხვა რესპუბლიკას. დაე, იმ რესპუბლიკის მცხოვრებლებმა თავიანთი წუმწუმები ჩვენს კოლოფებზე ანთო, მაგრამ ერთი პირობით: იმ რესპუბლიკამ მოგვყიდოს თავისი კოლოფები, რომ ჩვენ მცხეთაში გაკეთებული წუმწუმები მათ მიერ გაკეთებულ კოლოფებზე ვანთოთ, თუქცა არსებობს სხვა გამოსავალიც; გ) კიდევ რომელიმე სხვა რესპუბლიკას მიეყიდოთ მცხეთაში გაკეთებული წუმწუმები. დაე, მათ თავიანთ რესპუბლიკაში გაკეთებულ ასანთის კოლოფებზე ანთონ მცხეთაში გაკეთებული წუმწუმები, მაგრამ ერთი პირობით: იმ რესპუბლიკამ მოგვყიდოს თავისი წუმწუმები, რომ ჩვენ სხვადასხვა რესპუბლიკებში გაკეთებული კოლოფები და წუმწუმები მცხეთის ქარხანაში დავაფასოვოთ.

ვანთოთ და ვანთოთ!

კომისიის დასკვნა: „არა შევქნათ მწვერი ხეხა, არა იყო გვარი მისი“.

წინადადება № 2

ცნობილია, რომ: ა) თუ თბილისელი მოქალაქე 4-48-11 ნომრით ურეკავს აბონენტ 9-92-47-ს, სატელეფონო სადგური ავტომატურად შეაერთებს აბონენტ 3-09-31-თან, ან 5-03-01-თან. ბ) თუ თბილისელი მოქალაქე 3-09-31 ნომრით ურეკავს აბონენტ 5-03-01-ს, ან 3-09-33-ს, სატელეფონო სადგური ავტომატურად შეაერთებს აბონენტ 4-48-11-თან, ან 9-92-47-თან.

ასეთი სახით არის დაწყვილებული თბილისის სატელეფონო ქსელი და ამას, დღემდე, ვერაფერი ეშველა, მაშინ, როდესაც არსებობს სრულიად უბრალო გამოსავალი: გ) აბონენტებს — 4-48-11-ს და 9-92-47-ს დავარქვათ აბონენტები 3-09-31 და 5-03-01, ხოლო აბონენტებს — 3-09-31-ს და 5-03-01-ს დავარქვათ 4-48-11 და 9-92-47. ამ სახით გავცვალოთ მთელი სატელეფონო ქსელი.

აბა, მაშინ ნახეთ სერი! ასეც შეიძლება: დ) მოვაგროვოთ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე თბილისის ატს-ის ღირებურობიდან გადასდარი და გადაყენებული პირები და გავუცვალოთ რომელიმე სხვა ქალაქის ატს-ს ერთი ინჟინერი. დავიჯერო, თხუთმეტ ნაღვერტორალში ერთ ინჟინერს არ მოგვცემენ?

„ცდა ბედის მონახვერეა“.

კომისიის დასკვნა: ზაქარია ახლოა.

წინადადება № 3

ცნობილია, რომ: ა) მას შემდეგ, რაც ჩემი სათანადო რაციონალიზატორული წინადადება ცხოვრებაში გატარდა, თბილისის ქუჩებში წინდებით ხელზე მოვაჭრე ბავშვიან ქალებს თითქმის ვეღარად ნახავთ. სამაგიეროდ, ზუთხით, თართით, ზურგიელთ, ხიზილალთ, შამაითა და სხვა საქორწილო და საქელეხო თევზეულით მოვაჭრე ბერიკაცების რაოდენობამ საოცრად იმატა. ეს იმიტომ მოხდა, რომ იმ ქალებმა, რომლებსაც ჩვენ წინდებით ხელზე მოვაჭრე ბავშვიანი ქალები დაეუთმეთ, არაღელვარულად შემოგვისიეს თავიანთი ზუთხით, თართით, ზურგიელთ, ხიზილალთ, შამაითა და სხვა საქორწილო და საქელეხო თევზეულით მოვაჭრე ბერიკაცები.

რა გამოსავალია აქედან?

რა გამოსავალია, და: ბ) იმ ქალებმა, რომლებსაც წინდებით ხელზე მოვაჭრე ბავშვიანი ქალები გადაეცეთ, ჩაიბარონ თავიანთი არაღელვარულად შემოსული, ზუთხით, თართით, ზურგიელთ, ხიზილალთ, შამაითა და სხვა საქორწილო და საქელეხო თევზეულით მოვაჭრე ბერიკაცების ნახევარი და დაფიქრებონ ჩვენი წინდებით ხელზე მოვაჭრე ბავშვიანი ქალების ნახევარი.

წინდებიც გვექნება და თევზეულიც!

კომისიის დასკვნა: ნიჭიერი მიღვამა!

შემაჯავრი კიკო

ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში პენტაგონის სამხედრო ხროვამ ჩააბა ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ტაილანდის, სამხრეთ კორეის, დასავლეთ გერმანიის მთავრობები, ცდილობს იაპონიის, ფილიპინების, ბარმის გადაბირებას, ხოლო ლაოსში ეროვნული სულისკვეთების მომხრეთა წინააღმდეგ ადგილობრივი რეაქციის გამოყენებას.

ნახ. დ. ბაშელაიშვილისა

(გაზეთებიდან).



21, ავტომატური პენალისა სასწრაფო

დღიდანვე შევატყე ჩემს თავს, რომ ახალი გოი-პი მეწყებოდა. ამაში დასაბუთებულად, ავტომატური თერმომეტრის საყიდლად შევედი. შევედი თუ არა, ავტომატის გაშვება და მომხმარებელს შორის ასეთი დიალოგის მოწმე გახდა:

— ეს თერმომეტრი თქვენთან ვიყიდე!..
 — სასიამოვნოა, ჩემო ბატონო!
 — ამ ხნის ქალი ვარ და ამის მსგავსი არაფერი მინახავს!
 — რა მოხდა, ქალბატონო?
 — ეს თქვენი თერმომეტრი ზევით ადის და ქვევით აღარ ჩამოდის!
 — მერე მე ჩამოიყვანო ქვევით?
 — კი არ უნდა ჩამოიყვანოთ, რატომ ჰყიდით შეუბრუნებელ თერმომეტრს!
 — როგორ, ქალბატონო! აბა, ყველა თერმომეტრს მე ხომ არ გავიჩივებ ილლიაში?
 — არ უნდა გაყიდოთ ასეთი თერმომეტრი!
 — არ უნდა გამოგიგზავნონ, ბატონო, ასეთი! — უმტკიცებდა გამგე.

ქათმისა და კვერცხის გაჩენისა არ იყოს, ვერ დადგინდა, ვინ იყო დამნაშავე.

ცხადია, ასეთი დიალოგის შემდეგ, ვეღარ გავიმეტე ფული ყალბაზანდ თერმომეტრში და პირდაპირ კლინიკისკენ წავედი.



გამოვიწერე ექიმი, გუცადე მთელი დღე, მთელი საღამო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, — არავის შეუწყუბნია თავი.

დამით მეზობელს თერმომეტრი ვთხოვე, გავი-სინჯე სიცხე და...

აუ! ორმოცზე არ ავიდა? რაღა ვქნა ასე, მარტოხელა კაცი ვარ! კიდევ გავისინჯე. ვაიმე! ორმოცი და ექვსი ხაზი! დედა, ამაზე თუ ასე იმატა, რა მეშველება-მეთქი. გული ისედაც არ მივარგა და ერთხელ კიდევ გუცადე! მაგრამ, ვაი შენს კაკოს, უკვე ორმოცდაერთია!

რა სიკვდილი დამეტაკა, რაღა ვქნა, რა ვიღონო! როგორც იქნა, მეზობელს სასწრაფო გამოვამახებინე.

გამოვამახებინე და როცა მოვიდა, უკვე ხელოვნურად მასუნტებინებდნენ შინაურები.

— რა დავმართა? — იკითხა ექიმმა.

— უცბად გახდა ცუდად, ბატონო!

— აბა, დატრიალდით, მეზობლებო, და სასწრაფოდ იზოვეთ: ვალოკარდინი, ნიშადური, კოფეინი, ვალიდოლი, აბა, ჩქარა! — იყვირა ექიმმა.

დატრიალდნენ მეზობლები, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ: ვინ რას დაეძებდა და ვინ რას მოარბენინებდა: ზოგს ჩაის კოვზი მოჰქონდა, ზოგს — ქაფქირი, ზოგს — ჩოგანი, სუთი, ძმარი, სპირტი, „ბრელ-კა“ და, ერთი სიტყვით, რაც მოიხელთეს. ააშენა ღმერთმა იმათი თავი! ადგილობრივი რესურსებით გადამარჩინეს.

ამის შემდეგ, გადაწყვიტე, აღარ შევაწუხო: ავტომატური, პოლიკლინიკა, სასწრაფო და ადგილობრივი საშუალებებით ვიმკურნალო ყოველთვის.

ახლა კარგად ვარ და შემოჩამოთვლილ დაწესებულებებს ჩემს სიცოცხლეში სათოფეზე აღარ გავეპარები!

კ. გელათელი



— ახსანაგო, თქვენი ამოგადით, რომ ათასი ფრთა ქათამი გვყავსო, აჰ კი მხოლოდ
სათესია!
— ჰოდა, ზუსტად მითქვამს: ერთ ქათამს ხომ ორი ფრთა აქვს!

ნიანგის პრესკონფერენცია

ა./წ. აპრილის ბოლოს დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა ნიანგის პრესკონფერენციის მცირე დარბაზში, სადაც რედაქციამ კითხვა-პასუხის საღამო მოაწყო. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საღამოს ნაწილის სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

დარბაზის მე-9 რიგის მე-13 ადგილიდან დგება ზესტაფონის რაიონის წარმომადგენელი და მორცხვად იძლევა კითხვას:

— დიდი ბოდიში, ბატონო, მარა, ძალიან მეუხერხულება, ბატონო, მარა, იქნებ გამარჯვებით, თქვენი ჭირივე, ქე რომ ძირულა ერთვის ჩხერიმელას და ქე რომ იქანა ხილია, რატომ ჰქვია ხილი, ან რატომ ეკუთვნის ბორჯომის საგზაო უბანს?

ნიანგი: (ბორჯომს სვამს და მრავალმნიშვნელოვნად ახელებს) ალბათ, იმიტომ, რომ ბორჯომში ყველა ხილი მთელია და, საერთოდ, იგი კარგი საკურორტო ქალაქია.

მე-13 რიგის მე-9 ადგილიდან ისმის მორიგი შეკითხვა:

— რა გაუჭირდათ ჩხორიწყუს, ხაბუშეს და ჭოდის კოლმეურნეობებს, რომ ერთ გზას ვერ მოუარეს და წყალში ეიხრჩობით?

ხმა ღარბაზიდან: ეგენი, ბატონო, ეტყობა წყალმა დააქცია, ჩვენ კი, თბილისის კახიანისა და წრომის ქუჩების საყვარელი მეზობლები, სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაგვიკიდა ერთმანეთს უწყლობამ. არიქა, იქნება გვიჩიო, როგორ მოვიქცეთ!

ნიანგი: გირჩევთ, გაცვალოთ საცხოვრებელი ადგილები და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩებით!

— ბატონო ნიანგო, ბატონო ნიანგო! — მოისმა დარბაზიდან ერთდროულად რამდენიმე ხმა, — დიდ-მელებსაც მოგვაცეცე ყურადღება, — ალაპარაკდნენ ლ. ქობულაშვილი, ა. მათიშვილი, შოშიტაშვილი, თვაური, წამალაშვილი...

ნიანგი: ხალხო, რა ამბავია? გამაგებინეთ, რა გინდათ! ერთმა ილაპარაკოს!

სუთიაშვილი: (ამწვიდებს მეგობრებს და თვითონ იღებს სიტყვას) მე მთელი დიდმელების სახელით გეტყვი ჩვენს გასაჭირს, შენ გენაცვალე! ვისი ბრალია, არ ვიცით, იქნებ ვიცით კიდევაც, მაგრამ... ერთი სიტყვით, წყალი აღარა გვაქვს და № 25 ავტობუსით გვიხდება თბილისიდან მისი მოტანა...

ნიანგი: ჯერ წვიმის წყალი აგროვებ, ჩვენ კი „თბილწყალსადგენს“ ვთხოვთ და, იქნებ, ავტობუსის დამატებითი მარშრუტები დაგინიშნოთ. ისე, თბილისთან ახლოს ხართ და საკუთარი მანქანებითაც შეგიძლიათ წყლის ზიდვა.

ხმა ღარბაზიდან: ეჰ, წყალი წყალია, მაგრამ კავშირგამუშობამ რა დააშავა?


ნიანგი: რაშია საქმე?

— მე, ბატონო, ზომის რაიონის სოფელ ხამის-ყურიდან ვარ. ჩვენი სოფელი საკმაოდ დიდია, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება კი არა გვაქვს. ერთი საწყალი ფოსტალიონი გვყავს და იმასაც სოფელ ხეთის საფოსტო განყოფილებიდან ჩვენს სოფელამდე სირბილში, საცაა სული ამოხდება. არიქა, გვიჩიო რამე!

ნიანგი: ფიზულტურის ასალგაზრდასთან დაკავშირებული შეუთავსეთ ფოსტალიონის თანამდებობა... პრესკონფერენცია გვიან დამემდე ზაგრძელდა.


ქუთაისი და გამოგზავნების უწყუარო ნიშნები

ზამთარშიც იყო სიმწვანე, გულო, ბუდიდან იშლები! ადრეულ გაზაფხულისა ადრევე გაჩნდნენ ნიშნები. გაზაფხულს ვინლა დაეძებს, კარზე მოგვადგა ზაფხული, სააგარაკოდ შეიქნა მოულოდნელი ფაფხური. „ბორჯომი“, „ზვარე“, „საირმე“ (აშენდა თქვენი კარავი!), გაჰქრა და ხალხი დაეძებს, რა არის დასამალავი?! უწყლობით, ლამის გალოთდეს, „სტოგრაფიკი“ პეტია, ალკოჰოლიან სასმელთა ამიტომ ხარჯი მეტია. „ბორჯომს“ დაეძებს დომენტოც.



(ცხვირი აქვს, როგორც კამოდი), „აანმელიაზე“ ისევე ის „ექვსი ნომრით“ გამოდის. მოდის, სიცხეა თაქარა და მზე გვახურებს სხვა რჯულად, გაზაფხულებულ ზამთარში ფონდები გადახარჯულა. ძვირად იშოვით ლიმონათს და უხვად, აღარც ლუდია, ხახამომშრალ კლიენტებს ვერაფრით ვერ აუდიან. სასადილოს და რესტორანს ზაფხულმა ხელი დარია, დგას „ახვეტია“ ბუფეტში და მღერის ამგვარ არიას: „ბოშო, მე გამოვასიცხე? მე ვუხმე გვალვას, ალიანს? ამოწურული ლიმონტი სულ გაზაფხულის ბრალია!“

გომგორა



— როგორაა სივასტი?
— გუშინ ორას ოცი ჰქონდა წნევა, ახლა სტაბილიზატორი დავუყენეთ და არა უშავს!

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ლუმაბაძე.

სარედაქციო კოლეგია: ხ. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, გ. ნიშნიაშვილი, ნ. შევლიძე, თ. ჭელიძე.

საქ. კ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, ხაერთო განყოფილების—3-10-78

ბელმოწ. დასაბ. 28/IV-1966 წ. ქალ. ზომა 70×108 1/2, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1485 უფ. 03016 ტირაჟი 50000



„არ შეიძლება, ყურადღება არ მივაქციოთ დღევანდელი ბურჟუაზიული
სამყაროს ყველაზე მახინჯ მოვლენას — ეკონომიკის პოლიტიზაციას...
უკვე დაგროვდა იარაღის მთები...“
(სკკპ XXIII ყრილობაზე ამა. ლ. ი. ზრემშვილის მოხსენებიდან).

— სად არის, კიბა სეზ, დაპირებული სკოლები
და საბავშვო ბაღები?
— ახ ცხრა მთას იქით!